№ 27 თებერვალი 6, შაბათი 1888 თებერვალი 6, შაბათი № 27

გაზეთი ღირს

თვე	მან. კ.	თვე	მან. კ.
12	10 —	6	6 —
11	9 50	5	5 50
10	8 75	4	4 75
9	8 —	3	3 50
8	7 25	2	2 70
7	6 50	1	1 50

ცალკე ნომერი—ერთი შაური

ივერია

გაზეთის დასაკვეთად და კერძო განცხადებათა დასაბეჭდად უნდა მიჰმართონ: თვითონ რედაქციას, ახალ ბებუთოვის ქუჩ., სახლი № 9, ბ-ნ ხიდდეკელის საგაზეთოს, გოლოვინის პროსპექტი, წერა-კითხვის საზოგადოების კანცელარიას.

ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი რვა კაპ.

1877—1888 საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი 1877—1888

სამეურნეო საზოგადოებისაგან.

ბ-ნნი წევრნი კავკასიის სასოფლო მეურნეობის საზოგადოებისანი მიწვეულ არიან მორიგს კრებაზედ, რომელიც დანიშნულია 6 თებერვალს, საღამოს 7½ საათზედ.

კრება განიხილავს:

1) მორიგს საქმეებს;

2) ბ-ნ ერმოლოვის მოხსენებას მიწების იჯარით აღების თაობაზედ სახელმწიფო გლეხთაგან ამიერ-კავკასიაში.

არა-წევრთაც ნება აქვთ დაესწრნენ კრებაზედ.

ტფილისი, 5 თებერვალი

ჩვენა ვსთქვით, რომ ქუთაისის თავად-აზნაურობაში ორი აზრი ტრიალებს საზოგადო საქმის თაობაზედ. ზოგიერთის აზრით, საჭიროა დღევანდელი სათავად-აზნაურო სკოლა გაჰფართოვდეს და საჭირო უფლებანი მიეცეს, რათა ამ სკოლის მოწაფეთა არ დაეკეტოს მაღალ სასწავლებლების კარები. ზოგიერთის აზრით-კი, საჭიროა განსაკუთრებული ყურადღება მიექცეს სამეურნეო სწავლა-ცოდნას, ურომლობაც ძალიან სჩაგრავს ჩვენს ვითარებასაო. აი, ამ ორს აზრს არ უნდა გადაუდგეს ამორჩეული კომისია, რომელმაც უსათუოდ ამისდა მიხედვით უნდა განიხილოს ნატვირთი საგანი. კომისია მით უფრო მოვალეა იგი ორი აზრი მხედველობაში იქონიოს, რადგანაც ისინი გვიჩვენებენ საზოგადოების ნამდვილს საჭიროებას. კომისიას ნება არა აქვს, ერთსა ან მეორეს უპირატესობა მისცეს, თუ არა ჰსურს, რომ არა-სრული განაჩენი დასდოს და წარუდგინოს საზოგადოებას. ერთის სიტყვით, საჭიროა კომისიამ გამოიძიოს, ასწონ-დასწონოს დღევანდელის სათავად-აზნაურო სკოლის ვითარება, შეიტყოს, რამდენად საჭიროა ისეთი სასწავლებელი, რომელიც მოზარდს თაობას უნდა ამზადებდეს სხვა-და-სხვა მაღალ სასწავლებელთათვის და ამასთანავე ისიც უნდა გამოიძიოს, თუ რამდენად საჭიროა და როგორ უნდა მოეწყოს ჩვენში სასოფლო სამეურნეო სწავლა-ცოდნა... ეს ორი საკითხავი კომისიამ ისე უნდა განიხილოს და ისეთი განაჩენი უნდა დასდოს, რომ მოზარდს თაობას არც მაღალ სასწავლებლების კარი დაუხშოს და არც მკვიდრთა უმრავლესობის საჭიროება და ვითარება დაივიწყოს.

ჯერ კიდევ წარსულს წელსავე, როცა ლაპარაკი ჩამოვარდა სათავად-აზნაურო სკოლების გადაკეთების და გადასხვაფერების შესახებ, ჩვენა ვსთქვით, თუ რა გვარად უნდა შეუწყოს საზოგადოებამ ხელი სწავლა-განათლების საქმეს. ჩვენ მაშინ იმას ვამბობდით, რომ მოზარდს თაობას არ უნდა დაეხშოს არც მაღალ სასწავლებლების კარები და არც სასოფლო სამეურნეო სწავლა-ცოდნა უნდა მოვაკლოთო. ეხლაც იმავე აზრისანი ვართ და კიდევ ვიმეორებთ, რომ კომისიამ არ უნდა დაივიწყოს არც ერთი და არც მეორე, თორემ ყოველივე იმისი მოქმედება და მოსაზრება ცალ-მხრივი გამოდგება.

მართლადაც, ვისა აქვს საბუთი სთქვას, ვითომ ჩვენ არ გვესაჭიროება უმაღლესის სწავლა-განათლებით აღჭურვილი ახალგაზდობა და ან ვისა აქვს ნება სთქვას, რომ ჩვენთვის საჭირო არ არის სამეურნეო სწავლა-ცოდნა, რომ ჩვენთვის მარტო უმაღლესის სწავლა-ცოდნით აღჭურვილი ყმაწვილკაცობაა საკმარისიო.

ვინც ჩვენს ცხოვრებას დაუკვირდება, უსათუოდ უნდა აღიაროს, რომ არც ერთი და არც მეორე უერთიერთმანერთოდ საკმარისი არ არის; რომ ამ ორის შეერთებულის გზით უნდა ვმსვლელობდეთ, თუ რომ გვინდა ერს სწავლა-ცოდნის შუქი მოეფინოს.

ქუთაისის თავად-აზნაურობის კომისიის მუშაობამ, რომელიც შეეხება უმთავრეს საკითხავს ჩვენის ცხოვრებისას, უნდა მიიპყროს განსაკუთრებითი ყურადღება საზოგადოებისა. ჩვენ უნდა თვალყური ვადევნოთ ყოველს ფეხის ნაბიჯს კომისიისას მით უფრო, რომ ჩვენის სკოლების ბედსა და მომავალზე დამოკიდებულია მთელის ჩვენის მოზარდ თაობის ბედიცა.

რათა საზოგადოებამ ყურადღება ათხოვოს კომისიის მოქმედებას, საჭიროა თვით კომისია არ დასჯერდეს მარტო საკუთარს მოსაზრებასა და მუშაობას ოთხ კედელ შუა. ამიტომაც თვით კომისიამ და ყველამ, ვისთვისაც-კი საგულისხმოა სწავლა-განათლების გავრცელება და გაძლიერება, უნდა მიჰმართოს მწერლობას, რომლის საშუალებითაც შესაძლოა გამოიწვიოს მომეტებული ყურადღება და გულ-მტკივნეულობა საზოგადოებისა. რაც მეტი კაცი მიიღებს მონაწილეობას კომისიის მუშაობაში წერითა თუ სხვა რამე საშუალებითა, მით უფრო ნაყოფიერი და სასარგებლო გამოდგება კომისიის მუშაობაცა.

ა. ს—ი

◆

ახალი ამბავი

⁂ 4 თებერვალს გამოვიდა მე-9 ნომერი ფრანგულ-რუსულის ჟურნალისა, რომელიც ბ-ნ მურიეს რედაქტორობით იბეჭდება ტფილისში. ამ ნომერში დაბეჭდილია სხვათა შორის წერილი: «არაყის ხდა ხილისაგან ამიერ-კავკასიაში». წერილში მოხსენებულია სად, რამდენს და რა ხილისაგან ჰხდიან არაყს ამიერ-კავკასიის სხვა-და-სხვა გუბერნიებში.

⁂ ჩვენ მოგვივიდა ტფილისის სასტატისტიკო კომიტეტისაგან მეხუთე რვეული სასტატისტიკო ცნობათა, რომელნიც ამოკრეფილია მორიგ ჯარის-კაცთა გასაყვანად შედგენილის საოჯახო სიებიდამ. ეს ცნობანი განსაკუთრებით სიღნაღის მაზრას შეეხება. რვეულს რუსულად ეწოდება: Сводъ статистическихъ данныхъ, извлеченныхъ изъ посемейныхъ списковъ населенія Кавказа». Выпускъ 5.

⁂ სოფ. ქედა (აჭარა): «იანვრის 26-ს ერთმა ყმაწვილმა კაცმა საცოლო ქალი წაიყვანა ქედიდგან. ჩვეულებრივად ახალგაზდა მეფე დედოფალსა მრავალი ხალხი გაჰყვა. ხალხი გზა-გზა მიიმღეროდა და თან თოფსაც ისროდა; როცა სასიძოს სოფელს მიუახლოვდნენ, ერთმა სოფლელმა და იმისმა მცირე წლოვანმა შვილმა, რათა პატივი ეცათ ხალხისა და სასიძოსათვის, დაიწყეს თოფის სროლა. საუბედუროდ, ტყვია მოხვდა ერთს კაცს, რომელსაც ტყვიამ შიგ მკერდში გაუარა. საბრალო ისე მძიმედ არის დაჭრილი, რომ მისი გადარჩენა ყოვლად შეუძლებელია».

⁂ კავკავი: წარსულს დეკემბერს სოფ. ყადგარონში მოჰხდა შემდეგი დიდი უბედურება. მთის ოსებმა ჩამორეკეს ცხვარი, სოფ. ყადგარონის მოხელეებს მოურიგდნენ საბალახოს შესახებ და იქვე დადგნენ. რამდენისამე დღის შემდეგ მოვიდნენ მეცხვარეებთან სოფლის მოხელეები საბალახოს გარდასახადის გამოსართმევად. მეცხვარეებმა მისცეს საბალახო, მაგრამ ერთმა მათგანმა ცხვარი ნაკლები უჩვენა და ნაკლებიც გადაიხადა. როცა მოხელეები წავიდნენ, მეორემ უსაყვედურა პირველსა: მე სრულად მიმაცემინე საბალახო და შენ-კი თავი გადაირჩინეო. სიტყვა სიტყვას

ფელეტონი

ხევსურული სიმღერები

შეკრებილი ნ. ურბნელის მიერ.

შატილში რა ამბავ იქნა,
რა წყრომა დადგა ღთისაო?—
ქალებ ატირდა ყინჩადა,
ცრემლით იბანენ პირსაო...
სიკვდილი ბადაისაი 1),
უკულმ ჩახდომა მზისაო;
ქისტებსა გაუხარდება
მგელ მავისხლიტეთ მთისაო...
რად გაგიხარდათ, ქისტებო?—
არვინ შაგარჩენს ჭირსაო!..
ხედავ დარჩება წიქაი 2),—
წონა კაი აქვს მტრისაო;
ძმა მანგიური 3) გვერდს ედგა,
მაგრა მჭერელი მხრისაო...
ადგეს, ჩაიდვეს საგძალი,
ძალი ახსენეს ღთისაო;
ექადინ ხორუათასა 4),
ჯავრი არ ჰქონდა სხვისაო.
ქისტო, რამ გაგაგულდიდა,
ყამ არ გქონივა მტრისაო!
ამბავი რად არ იკითხე
სამუკათ წიქაისაო?
ქავში დაგიდგა ლოგინი,
ყამი არ გქონდა მტრისაო!?
ქვაზედ გარდვიდა წიქაი,
ფეხი გარდილა მგლისაო,
ხანჯარი გადაიყოლა,
მძებნელი ბადაისაო!..
მაბრუნდეს ნასახელარნი,
მზე ეფინება პირსაო;
მაუოს მახარობელი
მაგ ხათუთის ძის შვილსაო...
სამუკავ 5), ნუღარ სჯავრობდი,
ნუღარ გაიბთხობ ძილსაო:
წიქამ იძებნა ბადაი,
ხარი საფეხნოს 6) ზისაო!
ნეტავი შატილოვენებო,
არვის შაარჩენთ ჭირსაო,
სახელი მამადგნ მაგიდისთ,
ხოცა არ გიკვირსთ მტრისაო!..

(მამისწვერა არაბული)
სოფ. წინა-ხადო.

⁂

ბაგაის ძოძივ 1), გერჩიყვავ—
ლილოლ 2) გექამა ჭკვითაო,
ყანა გეხნ, ხარი გელალა,
ჯოხი მაგეჭრა ტყითაო;
ხევსურეთ რად იარები
თავის მართული ყმითაო?
თვალ უზის თვალაჯაიძეს
ჯურხასა 3) შავარდნისაო!
ხმასა გაგიტეხს ხევსურეთს,—
მუხლსა შაიბამს მგლისაო!..
ინავ გუდანით მოვალის,
ძალი გუდანის ჯვრისაო;
იმას ღერენამ 4) მასდივა,
არწივმა სინსილითაო;
ბლოელ 5) ბერდია მავიდა,
ქორ მხარ-ბოლოსა შლისაო;
ხირჩლამ 6) საფერხე შეკაზმა,
ზე ორბი შაჯდა მხრითაო,
ბლო-ღელე გადაავლია,
საძელე 7) კინკილითაო,
ქოთანთას შამაეწია
არწივი კივილითაო!
ხირჩლავ, შენ გამაგიარა
თვალაჯაიძემ მხრითაო...
თვალაჯათ ალუდაური
ომობდა ჩოხი ძელითაო;
საკარგ-ყმო 8) მივცათ, ხირჩლაო,
ცემა დაგასწვრა ხმლითაო;
კახოს უთურგა დასჭეხდა—
ხევსურნ ვერ ხარით ცდითაო!..
ხევსურებმ დაჯავრებულთა
ჯუთა 9) აავსეს მკვდრითაო;
მამა უტირის ღერენას
ხიტალიონსა 10) ხმითაო:
შვილო, ცოცხალი არ მოხვალ,
არ დაბრუნდები გზითაო!..
აჭეხა ბასილის ძმა
ომამა მშვილდი რქისაო,—
ძოძიი გადმაიბრუნა,
მანძილა დასცა ძირსაო!
ატირდა ყორის წყალზედა
ერთ ღლიღოელი ხმითაო:
დაგვხივნა თურმანაულმა
ჯურხამა, ვეფხვმა მწკლითაო,
ხირჩლამა ბაბურაულმა
გორდა, ფრანგული ხმლითაო!..

ბათაკა თოთიას შვილი არაბული
ს. ბაცალიგო

◆

დიაბოლინა*)

მოთხრობა

ვიქტორიო ბერსეციოსი

ტილდასა და ალბერტოს ერთმანერთობა მალე სხვაფრივ შეიცვალა კიდევ. ალბერტომ შეამჩნია, რომ დიაბოლინა ერიდებოდა, ყოველის ღონის-ძიებითა სცდილობდა მარტოდ-მარტო არ შეჰხვედროდა, სასტუმრო ოთახში არ გამოდიოდა; თუ წავიდოდნენ სადმე საერთოდ სასეირნოდ, მაინც ახლო არ ეკარებოდა. ალბერტო ხშირადა სადილობდა სინიორ პასკვალესთან და აი მხოლოდ მაშინა ჰნახავდნენ ხოლმე ერთმანერთს დიაბოლინა და ალბერტო, მაგრამ მაშინაც დიაბოლინა არც-კი შეჰხედავდა ხოლმე სტუმარსა. ლაპარაკით ხომ მაშინ დაუწყებდა მხოლოდ ლაპარაკს, როცა უთუოდ საჭირო იყო. ალბერტოს გული მოსდიოდა; დიაბოლინას საქციელი კადნიერებად მიაჩნდა. თავადაც სცდილობდა ისე ეჩვენებინა თავი, რომ ვითომ ვერც-კი გამჩნევო: იმის ჯიბრზე უფრო ხალისიანად და გრძნობით ესაუბრებოდა ლიზას. ამ ლაპარაკის დროს სულ იმის ცდაში იყო, რომ თავისი ნიჭი გამოეჩინა, თავისი თავაზიანობა და ზრდილობიანობა დაენახვებინა დიაბოლინასათვის. ათასში ერთხელ ცალის თვალით გადაჰხედავდა ხოლმე კიდეც ყმაწვილს ქალსა, მაგრამ დიაბოლინა ისე იჯდა, ვითომც აქ არაფერიაო, იჯდა გულ-ცივად, თავ-ჩაღუნული, გაქვავებული. ამაზე უფრო უსივდებოდა გული ალბერტოს. ათასში ერთხელ ისეც იყო ხოლმე, რომ ტილდა აიღებდა მაღლა თავს და ალბერტოს თვალებს შეეფეთებოდა ხოლმე. და აი მაშინ სცვიოდათ ორთავეს თვალთაგან ნაპერწკალი, თითქო კვესი ჩამოჰკრეს ტალსაო. ალბერტოს სახის მეტყველებაში იხატებოდა საყვედური, წყრომა, სიძულილი, ქალისაში-კი—დაცინვა. ხან უცბად მოაშორებდნენ ხოლმე ერთმანერთს თვალს, ხან-კი გაჯიქდებოდნენ, თი-

---

1) სახელია კაცისა.
2) ხევსურის სახელი.
3) სახელია.
4) სოფელია მითხოში.

5) ხევსურის სახელი.
6) ალაგი, სადაც ხალხი თავს მოიყრის ხოლმე.

1) სახელია ღლიღველ ბელადის უფროსისა.
2) ადგილია, სადაც ქისტების თემი სცხოვრობს.

3) სახელია ხევსურისა.
4) ხევსურის სახელი.
5) სოფელია.
6) ხევსური სახელი.
7) ადგილია.
8) ვაჟკაცის დასამწყალობელი.
9) სოფელია ხევსურეთში.
10) სოფელია.

*) იხ. „ივერია“ №№ 19, 20, 25 და 26.

მოჰყვა და ბოლოს ჩხუბი გაჰმართეს, იშიშვლეს ხანჯლები და დაუშინეს ერთმანერთს. ჩხუბმა დიდს ხანს არ გასტანა. სანამ ვინმე მიეშველებოდა, მოჩხუბარნი კიდეც წაიქცნენ. ერთი მათგანი იქვე მოკვდა, მეორემ-კი რამდენიმე დღე კიდევ იცოცხლა.

⁂ იქიდამვე გვწერენ: ქალის მოტაცება მინდვრის ოსებში პირველი გაგონება არ არის. თუმცა მთავრობა გულ-მოდგინედ სდევნის ამ ჩვეულებას და თუმცა ეგ ჩვეულება თან-და-თან სუსტდება, მაგრამ აქა-იქ-კი მაინც თავს იჩენს ხოლმე. მაგალითად, სოფელ ხუმელაგაში მცხოვრებელმა ყურბანა სლონოვმა ორის ამხანაგის დახმარებით მოიტაცა ბრუთში მცხოვრებელის ყანყოევის ქალი და წაიყვანა სოფ. ყაყადურში. ქალის პატრონებმა იმ წამსვე მდევარი გამოუყენეს, მაგრამ ვერას გახდნენ. გამოძიებამ აღმოაჩინა, რომ ქალი თანახმა არ იყო ყურბან სლონოვს გაჰყოლოდა ცოლად. მთავრობამ ყურბან სლონოვს მიუსაჯა სამასი მანეთის ჯარიმის გადახდევინება და იმის ამხანაგებს— ას-ასის მანეთისა.

⁂ ტფილისში რიყეზე წონითა ჰყიდიან თივას, მაგრამ საწონის ქვების მაგიერ უბრალო ქვებსა სდებენ სასწორზე. სასურველია ვიცოდეთო, —სჩივიან მუშტრები, —გამოწონილია ვისგანმე ის ქვები, თუ წონაში გვატყუებენ თივის გამყიდველებიო. ქალაქის გამგეობა მოვალეა მიაქციოს ამ გარემოებას ყურადღება.

⁂ არ იქნება ურიგო, რომ შემდეგს გარემოებასაც მიაქციოს ქალაქის გამგეობამ ყურადღება: მთაწმინდის და ლაბარატორის ქუჩა, დედათა ინსტიტუტიდამ ჭავჭავაძის ქუჩამდე, ეს ოთხი-ხუთი წელიწადი იქნება ქვით არ დაფენილა ხელ-ახლად. ამის გამო, მოვა თუ არა წვიმა, საშინლად ტალახიანდება ეს ქუჩები. ხარფუხში ვორონცოვის ქუჩაზე კაცს არ გაევლება, მეტადრე დაბლების ახლოს. ყველგან, საცა მჭედლები სხედან, ტფილისში გრდემლები ზედ ქუჩის პირასა აქვთ ჩასხმული ამ ამირანის მტრებსა. სცემენ გახურებულს რკინას ჩაქუჩებს და ნაპერწკლები შიგ პირისახეში სცვივათ გამვლელ-გამომვლელთ. ავლაბრის ხიდთან მერკინეებს აქვთ ტროტუარები დაჭერილი თავიანთ საქონლითა. ჩვენის აზრით, ყველა ამის გაკეთებასა და გასწორებას დიდი ხარჯი და ბორჯი არ უნდა; საჭიროა მხოლოდ მოისუროს გამგეობამ და ხმა ამოიღოს ამაზე.

⁂ 56,532 მანათი შემოსავალი ჰქონია ტფილისის თვით-მმართველობას იანვრის განმავლობაში ქალაქის შენობაზედ დაწესებულის ხარჯის მოკრებითა. შარშან-კი ამავე თვეის განმავლობაში შეუვიდა 32,632 მან. მაშასადამე, წელს 23,899 მან. მეტი შესულია (გაზ. «ნოვ. ობოზ.»).

⁂ იმავე გაზეთის სიტყვით, სექტემბრიდამ მილის წყლის ფული აუღია ქალაქს 1 იანვრამდე მხოლოდ 5,750 მან. 45 კაპ. თუ 5,000 მანეთსაც ვიანგარიშებთ, რომელიც ქუჩების მოსარწყავად იყო გადადებული და აღარ დაიხარჯა, რაკი საკუთარი წყალი გაიჩინა ქალაქმა, გამოვა, რომ ქალაქს აუღია სულ 10,750 მან. 45 კაპ.

⁂ 1887 წელს უნდა შემოსულიყო სახელმწიფო ხაზინაში სხვა-და-სხვა სახელმწიფო გარდასახადი ტფილისის მაზრიდამ 81,817 მან. 63 კაპ., ხოლო შემოვიდა 77,772 მან. 65 კაპ.; დარჩა კიდევ შესატანი 4044 მან. 98 კაპ. (იგივე გაზეთი)

⁂ გაზ. «კავკაზი» ამბობს, რომ ამ ჟამად ტფილისის ციხეებში სულ 712 კაცია დაპყრობილი და დაპატიმრებულიო. ამათ გარდა 15 დედაკაცია კიდევაო.

⁂ იგივე გაზეთი ამბობს, რომ მუშტაიდის ახლო განზრახვა აქვთ ააშენონ ცალკე შენობა მოჭიდავეებისა და ფალავნებისათვის, ისე როგორც ცირკია აშენებულიო.

⁂ დუშეთიდამ სწერენ ამავე გაზეთს, რომ მუხრანს ახლო გაცარცვეს ვიღაც სოსია მელაძეო. წაართვეს ხმალი, ხანჯალი, ფული და ტანისამოსიც-კი გაჰხადეს და გაატიტვლესო.

⁂ 4 თებერვალს მთაწმინდაში, ლაბარატორის ქუჩაზე ორის დღის დაბადებული უმაწვილი იპოვნეს. უმაწვილი ვაჟიშვილი აღმოჩნდა და სახების ინსტიტუტში იქმნა გაგზავნილი.

დაბა და სოფელი

(მოწერილი ამბავი)

დ. თიანეთი, 22 იანვარს. დადგა ზამთარი და ჩვენი უიმისოდაც მიყრუებული კუთხე უფრო მიყრუვდა და მიეცა ძილსა; მართალია, სიფხიზლე თიანეთის მაზრისა და თვით თიანეთის მცხოვრებთა რჯულზე უმტკიცეს ჩვეულებასაც არ შეადგენს; ჩვენ ისე ვსტკბებით ჩვენის უშინაარსო და უმოქმედო ცხოვრებით, როგორც ხევსური «ძველი დუმის» ჭამით ფშაველი—ხინკალით, მთიული—ქადით და თუში—ყალითა.

რომ ჩვენი ცხოვრება აქ არარაობაა, ამას ჩვენი საზოგადო სასარგებლო დაწესებულებანი, მაგალითად: ბანკი, დეპო, ბიბლიოთეკა და სამკითხველო, ჰღაღადებენ საიქიოდგან. დიაღ, ეს ასეა. თუმცა ყველა ზემოდ ჩამოთვლილ სასიქადულო დაწესებულებათა ჩვენმა გულ-გრილობამა და უზრუნველობამ ბოლო მოუღო, მაგრამ ეს აქ არავის წამოგვაწითლებს და ვერც გულს აგვიჩქროლებს!...

ფხიზლად არიან მხოლოდ დ. თიანეთს «მოსულნი მოქალაქენი» ან-კი როგორ არ იქმნებიან ფხიზლად და მეტადრე წლის დამდეგში რა მოასვენებთ; ეს ოთხი თუ ხუთი წელიწადია მას აქეთ, რაც ამ „ვაჭრებისთვის“ იანვრის მოახლოვება განკითხვის დღედ გარდააქციეს თიანეთის საზოგადოების მკვიდრთა. საქმე ის არის, რომ დაბა თიანეთშიაც, როგორც სხვა-და-სხვა დაბა-სოფლებში, მოვაჭრეებს თუ მკვიდრთაგან ნებართვა არა აქვთ სასმელებით ვაჭრობისა, «პატენტს» ვერ აიღებენ და რაღა თქმა უნდა, რომ ვერც ივაჭრებენ. ამით სარგებლობენ საზოგადოების მკვიდრნი და ნება-რთვის მიცემისათვის მოვაჭრეებს შეძლებისადა გვარად ფულს ახდევინებენ 25—70 მანეთამდე. ვაჭრებს ეს, რასაკვირველია, არ ეპიტნავებათ, ძალიან იმწვიტინებენ ხოლმე ამ გარდასახადის გამო და ყოველს ღონისძიებასა ჰხმარობენ, რომ როგორმე თავი დააღწიონ და ან შეამსუბუქებინონ, მაგრამ ჯერ-ჯერობით ყოველივე ეს ცდა ამაოდ რჩება. მოახლოვდება თუ არა იანვრის პირველი, მაშინვე გაიმართება გაძრომ-გამოძრომა, ზოგი ნათლიას მიჰმართავს, ზოგი ნათლიმამას, ზოგი ვის და ზოგი ვის. გაუმართავენ ხოლმე სადილებს და თუ რამ მთელის წლის განმავლობაში დამპალი დოშ-ზურგიელები მოუგროვებიათ, სულ ამ დროსთვის ინახავენ, ნათლია და ნათლიმამებისათვის მისართმევად. ამ ხრიკებითაც ხშირად ვერას გახდებიან ხოლმე, და მორგვივით მრგვალი ვაჭარი ძალა-უნებურად ხსნის ზლაზნით ქისას, იძლევა ფულებს და თანაც გულ-ამოსკვნით ეუბნება: «ვაა, მამავ, თქვენ ხომ არა მზოგავთ, თუ-და მეც დაგზოგოთ, აი ენახოთ. ხომ იცით, რომ უჩემოდ ვერას იზამთ; თუ მე ხელი არ გაგიმართეთ, ვერც მკვდარს დამარხავთ, ვერც ცოცხლის სირცხვილს მოიშორებთ. აბა ერთი მობძანდით და ნისიად რამის წაღება მოიწადინეთ, ნახავთ რას მიიღებთ! ჰამ ნაღდი უნდა მომცეთ ამას შემდეგ და ჰამაც ერთი ორად უნდა დაგიფასოთ». რა თქმა უნდა, რომ მუქარა მუქარადვე რჩება და ვაჭარი ნისიად წაღებაზედ კიდევაც შეეხვეწება მუშტარს, რომ თავისი სავაჭრო დუქანში არ დაულპეს. ცხელს გულზედ მაშ რა ჰქმნას, რომ მუქარით მაინც არ მოიფხანოს გული!

ვაჭრები იხდიან თიანეთის სასარგებლოდ 25—70 მანეთამდე, თიანეთში რვა დუქანია სასმელებისა, რომელნიც ამ გარდასახადს იხდიან. ცხადია, რომ თიანეთის საზოგადოებას საკმაო შემოსავალი ჰქონია და ღონის-ძიება აქვს კეთილს საქმეს დაეხმაროს. მაგალითად, შეუძლიან ნივთიერი შემწეობა აღმოუჩინოს ადგილობრივს სკოლებს და ეკკლესიებს, რომელნიც შემწეობას ჰსაჭიროებენ. ამ შემოსავალს რომ 150—200 მანეთიც სახლის ქირა (რომელიც ეძლევა საზოგადოებას) მიუუმატოთ, მაშინ ხომ წვრილმან ხარჯს წელიწადში უნდა გადარჩეს 200—250 მანეთი. მაგრამ სად არის ეს ფული? ამას მეც, ბევრი თვით საზოგადოების წევრთაგანიც ვკითხულობთ, მაგრამ პასუხის მომცემი არავინ არის და არც არავინ იცის ამ ფულის დაწვრილებითი ანგარიში. ამას წინად ზოგიერთებმა მოსთხოვეს სოფლის მოხელეებს შემოსულის ფულის ანგარიში, მამასახლისმა მარტო ტუსაღების «გასაბაწრავ» თოკებზედ და ბეგრის ცხენების დაჭედაში დახარჯულად უანგარიშა ორის წლის განმავლობაში სულ 50 მანეთი! «ის ოხერი ტუსაღები გუთანში ხომ არ ებათ, იმოდენა თოკები რად დასჭირდათო», იცინოდნენ ყრილობაზე დამსწრენი.

საზოგადოდ ყველა საზოგადო საქმე თიანელებს ძალიან ცუდად მიჰყავთ, მაგრამ ამაზედ შემდეგ... ახლა-კი და-

---

თქო არც ერთს არ უნდა დაუთმოს რამე მეორესაო და მაშინ, მათდა უნებურად, ორთავეს სინაზით ევსებოდათ თვალები. დიაბოლინა გაწითლდებოდა ხოლმე, წამოდგებოდა და თავს ანებებდა სადილსა, ალბერტო-კი თავ-მოწონებული იჯდა, სავსე კმაყოფილებითა და გული უცნაურის ნეტარებით უჩქროლავდა, თუმცა თვითონვე რცხვენოდა და ჰფიქრობდა გულში, რა ვქნა, ეს რა მემართებაო.

ვაი ის იყო, რომ სინიორა ვერონიკას არ გამოეპარა ეს ამბავი. ალბერტო თან-და-თან ახირებული შეიქმნა: ხან ისე იყო, თითქო გულისყური დაუკარგავსო, გონება დაფანტულივითა, გულ-ცივი, ხან კიდევ მეტის-მეტად აღგზნებული, აღტაცებული; ხან დღეში ხუთჯერ შეივლიდა სინიორ პასკვალესთან, ხან მხოლოდ საღამოობით გაჩნდებოდა, და ისიც მხოლოდ მაშინ, როცა სინიორინა ვერონიკა მიიყვანდა ხოლმე. ლიზა ჰხედავდა ყოველსავე ამას და შიშობდა, დარდი ჩაუვარდა გულში. პასკვალეს ოჯახი ახლა დანაღვლიანებული, დაღვრემილი, მოღრუბლული იყო. თომაზოც-კი ამჩნევდა ამას, მაგრამ ხმას ვერ იღებდა. არც იცოდა, რა ეთქვა. ჭექა-ქუხილი აუცილებელი შეიქნა. საჭირო იყო მხოლოდ, რომ ერთი ნაპერწკალი გაჩენილიყო საიდგანმე. ეს ნაპერწკალიც მოხუცებულმა მენიკამ გააჩინა.

— იცით, რა უნდა მოგახსენოთ, სინიორინა ვერონიკა?—უთხრა ერთხელ როგორღაც მენიკამ მამიდა ვერონიკასა.—იმის მაგიერ, რომ თავისთვის არხეინად დაწვეს და დაიძინოს ხოლმე, მოჰყოლია დიაბოლინა და ფორტეპიანოს არახუნებს საღამოობით, მღერის თანაცა და ძილს უფრთხობს ყველასა. ამ ბოლოს დროს უფრო დაიჩემა და აღარ მოისვენა და აღარა. ვიფიქრე, უთუოდ აქ მიზეზია რამე-მეთქი. ეს ქალი იმღერებს, იმღერებს პატარასა და მერე ვნახოთ მივა ფანჯარასთან. ფანჯრის მოშორებით-კი ვიღასიც ჩრდილი მოჩანს ხოლმე. წუხელის უფრო მივხვდი, რომ სწორედ ასე გახლავთ. მე დავინახე კიდეცა ის კაცი და, თუნდა მგმობარე ფიცით დავიფიცავ, რომ დიაბოლინა და ის კაცი რაღასაც ანიშნებდნენ ერთმანერთსა.

მენიკა გაჩუმდა, ვითომ-და ამაზე მეტს ველარას ვიტყვიო, მაგრამ შემდეგ თავი ისე მოაჩვენა ვერონიკას, რომ თითქო ქალბატონმა ძალა დაატანა და ისიც გამოტყდა: ის კაცი, ქალბატონო, ალბერტო გახლავთო.

სწორედ ასეც იყო. ალბერტო დიდხანს ეურჩა და ეომა თავის თავსა, მაგრამ ბოლოს-კი მაინც ვერ გაუძლო მაცდურებასა, ვერ ჩაიკლა გულში ის სურვილი, რომ ერთხელ კიდევ არ მოესმინა სიმღერა დიაბოლინასი. და აი ალბერტო იდგა ჩუმად, სულ-განაბული, ხეებს ამოჰფარებოდა დიაბოლინას ფანჯრებ შორი-ახლოს და სთვრებოდა იმ ჰანგის სიტკბოებით, რომელიც თვითვე შესთხზა ფორტეპიანოზე დასაკვრელად და რომელიც დიაბოლინას უფრო შეევსო, შეეკეთებინა. ალბერტოს ეგონა ამ დროს, რომ ჩემი სული შეუერთდა, ჩაეწნა, ჩაეგრიხა ამ საოცარის ქალის სულსაო.

— ღმერთო, რა ტოლი და სწორი იქნებოდა დიაბოლინა ჩემი, რა ტოლობასა და სწორობას გავუწევდი მე იმას!—ჩურჩულებდა ალბერტო.

გონებამ თვალ-წინ წარმოუდგინა ალბერტოს სახე ყმაწვილის ქალისა; სახე, ხან თავ-მომწონე და დამცინაველი, ხან თვალის მომჭრელის სინათლით გაცისკროვნებული და ვნებათა ღელვით ათრთოლებული. იმის გაცხელებულს გონებას დიაბოლინა წარმოუდგა იმ სახით, რა სახითაც ჰნახა ღია ფანჯრის სიბნელეში, მაშინ, როცა მთვარეს კაშკაში გაჰქონდა და თავისი მკრთალი ნათელი ზედ მიეშუქებინა. ალბერტოს უგუნური აზრი დაებადა, გაგიჟებით მოსწყურდა დიაბოლინას დანახვა. გამოვიდა ჩრდილიდამ და მთვარის შუქით განათებულს გზაზე დადგა. ტილდა შეკრთა და გატრიალდა, თითქო გველმა უკბინაო. უნდოდა მოშორებოდა ფანჯარას, მაგრამ მერე შედგა, ფიქრმა წაიღო, უნებურად გადაეწოდა ფანჯარას და გაჰხედა ყმაწვილს კაცს. ალბერტო მიხვდა, რომ მიცნოვო; მოეჩვენა, რომ ვითომ წარბი შეკრული აქვს, სახე მოღრუბლული და მეკითხება, რას აკეთებ აქაო? ალბერტოს უნდოდა პასუხი მიეცა, პასუხი ტკბილი, მწველი, სიყვარულითა და სინაზით აღსავსე; მაგრამ ერთს ალაგას-კი გაქვავდა და ხმა ველარ ამოიღო. მაშინ ტილდა გაიმართა ტანში და ნელ-ნელა მოშორდა ფანჯარას, თითქო შორიდამ ეუბნება: მაშ დაიცადე მანდაო. და აი კვლავ გაისმა გალობა ოცნებისა დადუმებულს არე-მარეში.

მას შემდეგ ყოველ საღამოს ასეთივე ამბავი იყო ხოლმე; განსხვავება მხოლოდ ის იყო, რომ უფრო-და-უფრო ხანგრძლივ შესცქეროდნენ შორი-ახლოდამ ერთმანერთს. რას გადაერია ეს ყმაწვილი ქალი და კაცი, რა უნდოდათ, რა სწადდათ? ამისი თითონაც არა იცოდნენ-რა.

მოისმინა თუ არა ვერონიკამ მენიკას ნათქვამი, საშინლად განრისხდა და გაავთრდა. ორივეს კბილებით დაგლეჯას ემუქრებოდა. მეტადრე დიაბოლინაზე იყო გულ-მოსული: აი ის უნამუსო, ის თავზედ ხელაღებულიო, — მრისხანებდა გულში სინიორინა ვერონიკა. —იმ სულმდაბალს ის უნდა განა, რომ წაართვას ლიზას საქმროეო? პატივცემულს მამიდას უნდოდა, რომ მივარდნოდა მაშინვე ტილდას და პირში ეხალა ყოველივე, რისაც ღირსიაო; მაგრამ გული დაიმშვიდა ისევ და გონებას დაუწყნარდა. ვერონიკამ იფიქრა, რომ ტილდა არ მოითმენს ასეთს გალანძღვასაო; ვაი თუ ერთი ალიაქოთი ასტეხოს და წავა, ჩაიშლება ჩემი მოხერხებული საქმეო.

— რა საცოდავნი და სულ-მდაბალნი არიან ეს მამაკაცნიო!—ფიქრობდა მამიდა გულში.—მუდამ ის მოსწონთ, რაც არ უნდა მოსწონდეთ. კაცმა უნდა შეირთოს ლამაზი ქალი, კეთილი და სანაქებო; უარი რომ გვეთქვა, გაჭირვეულდებოდა, ყოველ ღონის-ძიებას იხმარდა, რომ დავეთანხმებინეთ და ახლა-კი, აქაოდა ჩვენ თვითონ ხელში ვაძლევთ ქალს, ის ვიღაც ყვითელსა და მწვანეს აჰკვიატებია! ნეტა ლიზას ფეხის ფრჩხილად მაინცა ჰღირდეს, ბოშა-დედაკაცების გომბიოსა ჰგავს.

სინიორა ვერონიკამ უბრძანა მენიკას, რომ ხმა, კრინტი არ ამოიღო, მეტადრე ლიზასთანაო. მენიკამ ფიცით აღუთქვა ყოველივე. მამიდამ მოსძებნა მივარდნილი ადგილი ბაღში და იქ დაიწყო ფიქრი, როგორ მოვიქცეო. ნახევარ საათს უკან წამოვიდა იქიდამ, იპოვა თავისი ძმა და წაიყვანა სამუშაო ოთახში. ჩაჰკეტა კარები და დაიწყო საშინელი ჭექა-ქუხილი...

გრ. ყ—ძე

(შემდეგი იქნება)

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვუბრუნდებით ისევ აქაურს ვაჭრებს და ორიოდე სიტყვას ვიტყვით აქაურ სოფლების მოხელეების საყურადღებოდ. ყველა მედუქნეები (თიანეთში 15 დუქანია) და მოსიარულე ჩარჩები ყოველთვის და მეტადრე კალოობის დროს დაწანწალებენ სოფლებში და აგროვებენ პურს ზოგს ნისიაში, ზოგს სყიდვით, უფრო-კი სავაჭრო წვრილმანზე გაცვლითა. თან ატარებენ «საწყაო» ლიტრიანს, ან კასრს, ან ხოკერსა და აი სწორედ ამ საწყაოებით აძრობენ ტყავს საწყალს ხალხსა როგორც სოფლებში წანწალის დროს, აგრეთვე ადგილობრივ დუქნებშიაც. მედუქნესა აქვს ლიტრიანი მოძრავის ძირითა; აწყვის დროს ძირს ქვევით დასწევს, თუ პურს ჰყიდულობს, და თუ ჰყიდის, მაშინ ზევით ასწევს, რომ ცოტა აიწყოს; თუ ასე არა, ორი ლიტრიანი აქვს, მეტადრე ერთ ადგილზედ მოვაჭრესა, ერთი დიდი და ერთი პატარა, დიდი პურის «ასაღებია» და პატარა «გასაღები». საჭიროა, რომ ხოკრებისა და კასრების ხმარება ლიტრად აეკრძალოს ყველა ვაჭრებს და სპილენძის ლიტრიანები-კი, ყოველ თთვე თუ არა, ორ თთვეში ერთხელ მაინც უნდა გასინჯული იქმნას, გამოწყული და დაბეჭდილი.

ხ.

საისტორიო და საბიბლიოგრაფიო წერილები

(წერილი მეთერთმეტე)

«ქართული პალეოგრაფია», წერილი დ. ზ. ბაქრაძისა.

წარსულის წლის დამლევს მოსკოვში აღიბეჭდა «Труды V Археолог. съѣзда въ Тифлисѣ». ამ წიგნში დაბეჭდილია ძვირფასი შრომა დ. ზ. ბაქრაძისა—ქართული პალეოგრაფია.

პალეოგრაფია ისეთი მეცნიერებაა, რომელიც იკვლევს ანბანთა ისტორიას, უჩვენებს იმათ ზრდასა და ვითარებას. სხვათა შორის, პალეოგრაფიაში უკვე აღიარებულია ის გარემოება, რომ არც ერთ ანბანს მოგონებისავე უმალ არა ჰქონია სისრულე, ის სახე, რა სახითაც არსებობს ეხლა. პირ-იქით, ყოველ მათგანს, მოგონების შემდეგ, თან-და-თან სახე უცვლია; პალეოგრაფიასვე განუმარტავს ის წესი, რა წესითაც ორ მონათესავე ანბანთაგან ერთი ითვლება მეორის მამად, ერთი—მეორის შთამომავლად.

დღევანდლამდე ქართული პალეოგრაფია არ არსებობდა. ხოლო 1886 წ. პროფესორმა ა. ა. ცაგარელმა თავის შესანიშნავს შრომაში «Свѣд. о памят. груз. письм.» მოაქცია რამდენიმე ნიმუში ქართულის წერისა. ეს ნიმუშები ეკუთვნიან 978 წ., მე-VIII—IX სს., X, XI და XIV—XVI საუკუნეებს.

ბ-ნ დ. ბაქრაძის საპალეოგრაფიო შრომის გამოქვეყნების შემდეგ-კი ქართული პალეოგრაფია მკვიდრს საძირკველზე დამყარებულად უნდა ჩავთვალოთ. ეხლა შევუდგეთ თვით ამ შრომის განხილვას.

ქართველებს აქვთ ორ გვარი ანბანი—ხუცური და მხედრული. ეს ანბანები მე-XIV ს. წინა დროებაში თან-და-თან შორდებიან აწინდელ თავის გამოხატულებას და ძნელი ჰხდება მათი გარჩევა და წაკითხვა...

პირველად ყოვლისა უნდა ვსთქვათ, —ამბობს ავტორი, —რომ ქართულ ანბანების წოდება—მხედრული და ხუცური ქართულ ძველს ლიტერატურაში არსად არ იხსენიება. აგრეთვე ჯერ არ არის განმარტებული დრო ანბანების მოგონებისა. პირ-იქით, არსებობს ორ გვარი აზრი ქართულ ანბანის შესახებ. ზოგნი ამტკიცებენ, რომ მხედრული პირველად შემოღებულია ფარნაოზის მიერ, ხუცური-კი—შემდეგში მესროფის მიერო; ზოგნი-კი ამტკიცებენ, რომ ხუცური შემოღებულია პირველად და შემდეგში მისგან წარმომდგარა მხედრულიო.

ქართულს ანბანში ასოები დაწყობილ-გარიგებულია იმ წესზედ, რა წესზედაც ბერძნული ანბანია. ამას გარდა ერთის ქართულის ასოს წოდება სრულიად ბერძნულია. მაგალითებრ, ასოს «ს» ორივე ენაზედ ჰქვიან სან (san). ქართული სხვა ასონი-კი, მეტადრე ხუცური ასო-მთავრული, თავის ფორმებით და ხან მათ მიერ გამოხატულ ხმებით, უახლოვდებიან დევანაგირის ანბანსა და, საზოგადოდ, ინდოეთის ქვეყნის წერასა. საქართველოში ანბანის შემოღება, საბერძნეთის კულტურის ზედ-მოქმედების გამო, შავის ზღვის პირას ბერძნების მიერ დამართულ ახალ-შენების დროს, ჩემის აზრითაო, ამბობს ბაქრაძე, ეჭვს გარეშე უნდა იყოსო. ამას ამტკიცებს ის გარემოებაცაო, რომ ქართული სამწერლო და საწერელი ნივთებისა—მელანისა და კალმის სახელ-წოდებანი ბერძნულიაო; მაგალითებრ, მელანი—melanion, კალამი—calamion.

ქართულ პალეოგრაფიის შესასწავლად ჩვენ ვსარგებლობდით ნივთიერ და მწერლობითის ნაშთებითაო. ამ გვარ უძველეს ნაშთებად, ჯერ-ჯერობით, უნდა ჩავთვალოთ ქართული ფული ზედ-წარწერით—სასანიდების დროისანი; ურბნისის, რკინის და ჯვრის (მცხეთის ახლო) მონასტერნი ზედ-წარწერითვე. უკანასკნელის წარწერა ეკუთვნის მე-VII საუკ. და აგრეთვე ნაწერნი მე-V—IX სს.

(შემდეგი იქნება)

უცხოეთი

გერმანია. მოგვყავს ბერლინის გაზეთების მიერ აღწერა იმ დღისა, როდესაც რეიხის კანცლერის ბისმარკის სიტყვა იყო წარმოთქმული. პარლამენტში კრება ნაშუადღევის პირველს საათზედ დაწყებულა, თ. ბისმარკს სრული ორი საათი ულაპარაკნია. კრება დაშლილა 4 საათზედ და 6—7 საათზედ საღამოს-კი «National Zeitung»-ს თავის ხელის მომწერლებისათვის დაურიგებია ეს სიტყვა, სტენოგრაფიით დაწერილი.

შაბათს ბერლინის გაზეთებმა გამოაცხადეს, რომ ორშაბათს თავადი ბისმარკი რეიხსტაგში საგანგებო სიტყვას წარმოსთქვამსო. ამ ამბავზედ ბერლინის მკვიდრთ ჩოჩქოლი შეუდგათ და რაღაცას არა-ჩვეულებრივს მოელოდნენ. შაბათსა და კვირა დღეს ხალხს ეს ამბავი-და ჰქონდა სალაპარაკო; ეს იყო სალაპარაკო კერძო სახლებშიაცა და ქუჩებსა, სასტუმროებსა და ლუდხანებშიაც. ყველა იმასა კითხულობდა: რას იტყვის ბისმარკი, ომს მოგვივლენს, თუ მშვიდობიანობას გვახარებსო. კრებაზედ დასწრება ძალიან ძნელი იყო, რადგან ადრევე გამოაცხადეს, რომ ყველა ადგილები რეიხსტაგში უკვე დაჭერილიაო. მაინც ორშაბათს დღეს პარლამენტის შენობას დიდ-ძალი ხალხი მოაწყდა და ის ქუჩა-კი ხალხით იყო სავსე, რომელ ქუჩაზედაც პარლამენტის შენობაა აგებული.

$12^{3}/_{4}$ საათზედ ყველა კათედრები დაჭერილები იყო და ჟურნალ-გაზეთების რეპორტიორების კათედრაზედ ხომ ადამიანი ვერ მობრუნდებოდა. სხვა კათედრებზედ, განსაკუთრებით სასახლისა და სადიპლომატო კორპუსის კათედრაზედ, იმდენივე ქალი მოსჩანდა, რამდენიც კაცი. უმეტესად ქალები მშვენივრად მორთულნი და მოკაზმულნი იყვნენ, თითქო პარლამენტში სათეატრო წარმოდგენაა და ან ბალის გამართულიო. ქვემოთ საბჭოს დარბაზი თან-და-თან ივსებოდა დეპუტატებით, რომელნიც ჯგუფ-ჯგუფად გროვდებოდნენ და ხმა-მაღლა ბაასობდნენ. აგერ მინისტრებიც გამოჩდნენ. სწორედ პირველს საათზედ სასახლის ლოჟა დაიჭირა პრინცმა ვილჰელმმა. უეცრად გავრცელდა ხმა, რომ კანცლერი ვერ მოვაო. საზოგადოება აღელდა, ყველას მწუხარება და სინანული აღებეჭდა სახეზედ. ხოლო საზოგადოება ისევე დამშვიდდა: თ. ბისმარკის ადგილთან მივიდა მოხელე და სტოლზედ დასდვა ორი უშველებელი ფერადი ქარანდაში, რომელნიც ძალიან უყვარს ბისმარკსა, ორი ფერთის კალამი და დავთარი. პატარა ხანს უკან კარები გაიღო და გამოჩნდა ახოვანი და ბრგე ბისმარკი. ბისმარკს ბეგთაროსანთა მუნდირი ეცვა. თ. ბისმარკს თან მოჰყვა შვილი, გრაფ ჰერბერტ ბისმარკი. ბისმარკმა მარჯვნივ და მარცხნივ საზოგადოებას ზრდილობიანად თავი დაუკრა, შემდეგ მივიდა თავის ადგილთან, ერთის წუთის ჩამოჯდა, მერე ისევ წამოდგა, ცხვირსახოცი ამოიღო ჯიბიდგან, თითქო ხელი უქნევდესო, ისე გაიწმინდა სათვალები, რაღაცა ქაღალდები დააწყო სტოლზედ და დაჯდა. ისეთი სიჩუმე და დუმილი ჩამოვარდა, რომ ბუზის ფრენასაც-კი გაიგონებდით; ყველამ თვალი ბისმარკს მიაჩერა, ყველას გულის-ყური ბისმარკისაკენ ჰქონდა მიქცეული.

— სიტყვის წარმოთქმის ნებას ვაძლევ იმპერიის კანცლერსაო!—რიხიანის ხმით გამოაცხადა პალატის პრეზიდენტმა. თავადი ბისმარკი ფეხზედ წამოდგა. დარბაზი მოძრაობაში მოვიდა, ყველა გასწორდა თავის ადგილზედ, გაზებმა შრიალი დაიწყო და შემდეგ ისევე დუმილი ჩამოვარდა. მინისტრები და დეპუტატები წამოდგნენ, ბისმარკთან უფრო ახლო მივიდნენ, რომ არც ერთი სიტყვა არ გამოჰპარვოდათ, ბისმარკის მიერ წარმოთქმული. თავადი ბისმარკი პირველში ნელის ხმით ლაპარაკობდა. სიტყვის წარმოთქმის დროს ხშირად შესდგებოდა ხოლმე. შესდგებოდა თუ არა, სერთუკის უკანა ჯიბიდგან ცხვირსახოცს იღებდა და თვალებსა და შუბლს იწმენდდა. ლაპარაკში ბისმარკი სერთუკის ზემოდა ორს ღილს გაიხსნიდა ხოლმე, ასე რომ ყვითელი სარჩული სჩანდა და შემდეგ ისევე შეიკრავდა, როგორც წესი და რიგი იყო. ხშირად აიღებდა ხოლმე და დაეწაფებოდა სტოლზედ დადგმულს ჭიქას; ჭიქაში წყალი იდგა მოზელვენ ნარევი. ვიდრე თავის სიტყვას გაათავებდა, რამდენიმე სავსე ჭიქა დაცალა; ერთბაშად სვამდა ხოლმე ყოველსავე ჭიქას. გრაფ ჰერბერტ ბისმარკი, ბისმარკის სიძე გრაფ რანცაუ და მინისტრი ბეტტიხერი, დასცლიდა თუ არა ბისმარკი ჭიქას, ისევე უვსებდნენ და წინ უდგამდნენ. როგორც ვსთქვით, თავადი ბისმარკმა თავისი სიტყვა ნელის ხმით დაიწყო და საზოგადოდ ხმა-მაღლად არ ულაპარაკნია. დრო გამოშვებით-კი ხმას აიმაღლებდა ხოლმე, კილოს რიხი ემატებოდა, სიტყვები მკაფიოდ ისმოდა და თითქმის ყველა დამსწრესათვის გარკვევით გასაგონი იყო. ასე მოიქცა ბისმარკი იმ ადგილებში, სადაც სთქვა, რომ იმედი მაქვს ღვთისა და მრწამს სიმტკიცე და ძლიერება ჩვენის ერისაო. საისტორიო ნაწილი სიტყვისა საზოგადოდ ნელის ხმითა სთქვა და ამიტომ ყველამ ვერ აკრიბა ბისმარკის მიერ მოყვანილი საბუთები. სიტყვის საუკეთესო ადგილები საზოგადოებამ ვერ მოისმინა და მხოლოდ დეპუტატებისა და თანამდებობის კაცთა, რომელნიც კედელსავით ერტყნენ გარშემო ბისმარკს, ხმამაღალს ხარხარზედ გაიგებდა-და ხოლმე, რომ კანცლერმა რაღაცა სასაცილო და მახვილაკი სიტყვა სთქვაო. ორატორი 45 წუთი ფეხზედ იდგა და ისე ლაპარაკობდა, შემდეგ პალატას დაჯდომის ნება სთხოვა და ნახევარ საათი დაჯდომილი ლაპარაკობდა. შემდეგ ისევე წამოდგა ფეხზედ და თავის სიტყვა ფეხ-მდგომელმა გაათავა. ქუხილსავით ტაშის კვრასა და ძახილში მინისტრები და დეპუტატები შემოეხვივნენ კანცლერსა და გულ-მხურვალედ ულოცავდნენ გამარჯვებას. როცა კანცლერი გამოვიდა პალატიდგან თავის შვილ ჰერბერტთან ერთად, ხალხმა, რომელსაც რამდენიმე ქუჩა ავსო, გაარღვია პარლამენტის ახლო-მახლო ქუჩებში დაყენებული დარაჯი და თავად ბისმარკს დიდის ამბითა და ყიჟინით მიეგება, როგორც 1871 წელსა. ეტლში ჩაჯდომა ბისმარკმა ვერ მოახერხა და ფეხით წავიდა სახლში; წინა და უკან დიდ-ძალი ხალხი მისდევდა.

წვრილი ამბები

— ჩრდილოეთ-ამერიკის ქალაქებში შემოუღიათ ახირებული ხალათები, რომელსაც ღარიბი ხალხი ძალიან ეტანება თურმე. ამ ხალათებს აკეთებენ ძველის გაზეთების ქაღალდისაგან, ხალათს სახელები არა აქვს, მხოლოდ მხართან შესაკვრელებითა მაგრდება. გაზეთის ქაღალდი ექვს პირია და ნაპირები წებოთი აქვს მიკრული. ეს ქაღალდის ხალათები ძალიან იაფად იყიდება თურმე და ამასთან სიცხესაც არ იტარებს.

— ჰოლანდიის ამომრჩეველთა სიაში სხვათა შორის ერთს ადგილას შემდეგი ამომრჩეველია თურმე ჩაწერილი: № 4609. გვარი: ნიდერლანდელი. სახელი: ვილჰელმ მე-III, ალექსანდრე-პავლე-ფრიდრიხ-ლუი. ხარისხი: მეფე. საცხოვრებელი ადგილი: ნორდენდე, 68. რამდენს იხდის გადასახადს: 500 მანათს.

— ახირებული კლუბი გაუმართავთ ფილადელფიაში. ამ კლუბისათვის სახელად დაურქმევიათ «კლუბი უეცრად გარდაცვლილისა» და წევრადაც მხოლოდ იმათ შეუძლიანთ თურმე ჩაეწერნენ, რომელთაც უეცრად გარდაცვლის ნიშნები აქვთ, მაგალითებრ: გულის ფრიალი, თუ სისხლი მოჭარბებითა აქვთ და ან ისეთი აგებულება, რომ შეიძლება წვეთი დაეცეთ.

— ამას წინად ბუდაპეშტის სასამართლოში მეტად საინტერესო საქმე გაურჩევიათ კეთილშობილის შთამომავლობის ახალგაზრდა მეუღლეთა განქორწინებაზედ. განქორწინების საბუთად ის იყო თურმე სასამართლოში აღიარებული, რომ ცოლს თავისდა უნებურად საშინლად ეზიზღება ქმარიო, თუმცა მართალია ის გარემოებაცა, რომ ცოლ-ქმართ შეუვარებით დაიწერეს ჯვარიო. სასამართლო ბევრს ეცადა თურმე, რომ მოერიგებინა როგორმე ერთმანეთში მეუღლენი, მაგრამ ვერას გახდა-რა. პირველად სასამართლოში საჩივარი შეუტანია ცოლსა ქმრის, ბარონ პოლ ბორნემისა-ბატტიანის, თანხმობითა.

— ერთს პარიჟის თეატრთაგანში მისულა წარმოდგენაზედ დასასწრებლად ერთი კაცი, მშვენიერს თულუფში ჩაცმული, და თავის თულუფი თეატრის მსახურისათვის მიუცია შესანახავად. წარმოდგენის გათავებისათანავე გამოსულა თეატრიდგან, მსახურისაგან თულუფი მოუთხოვნია და მსახურს ძველი, ნახმარი პალტო მიუწოდებია. ამის გამო ამ კაცს საჩივარი შეუტანია თეატრის დირექციაზედ და თულუფში 1,600 მან. მოუთხოვნია. სასამართლოს თეატრის დირექციისათვის 1,300 მან. გადაუხდევინებია, რადგან თულუფის პატრონი თითონვეა ბეწვეულობით მოვაჭრე და თავისათვის უფრო იაფად დაუჯდებოდა თულუფიო. ძველი ნახმარი პალტო-კი, სასამართლოს განაჩენისამებრ, დირექციის საკუთრება გამხდარა.

— ბუდაპეშტის ერთ საუკეთესო ფოტოგრაფთან ამას წინად მიუტანიათ ერთის იაპონელ მოცეკვავე ქალის ქანდაკება. ქანდაკების მიტანისათანავე ფოტოგრაფთან მისულა დ—რი გრუბერი, ვენგრიის სამეტეოროლოგიო სადგურის გამგე, და შეუკვეთნია 12 სურათი ზემოხსენებულის ქანდაკებისა. მეორე დღეს მისულა ამავე ფოტოგრაფთან ერთი გრუბერის ნათესავთაგანი, რომ იმის მიერ შეკვეთილ სურათების კეთება შეაყენეთ, რადგან დ—რი გრუბერი ჭკვათ-მყოფელი არ არის და ასე ჰგონია, ვითომ ამ ქანდაკებას მე ვუყვარვარო. ამის შემდეგ გრუბერი უფრო და უფრო დასნეულებულა სულით, ჭკუიდგან აცდენილა, და ერთხელ თავის უფროსთან ბაასის დროს უეცრად ქვითინი დაუწყია და უთქვამს: «ვგრძნობ, რომ ჭკუიდგან შევიშლები!». საბრალო სულით ავადმყოფი სამკურნალოში დაუმწყვდევიათ.

— რომში კარდინალთა კრებას ყველა მართლ-მორწმუნე კათოლიკეთათვის აუკრძალავს შემდეგ თხზულებათა კითხვა და გავრცელება: «ებრაელთა ისტორია», ლედრენისა; «დასაწყისი ისტორიისა დაბადების მიხედვით და აღმოსავლეთის ხალხთა ზნე-ჩვეულებისა», ლენორმანისა; «სახარება», განმარტებული ლასნერის მიერ (გამოცემული პარიჟში ფრანგულს ენაზედ) და «აღსარების საიდუმლოებანი», გამოცემული მადრიდში ისპანიურად.

— წევრი საფრანგეთის პალატისა, ჟ. ა. იუბბარი, ამ ჟამად იმაზედ ჰმუშაობს თურმე, რომ საფრანგეთის რესპუბლიკის ეხლანდელ პრეზიდენტის, სადი-კარნოს, ბიოგრაფიასა სწერს. ეს ბიოგრაფია დაიბეჭდება განტენთან პარიჟში.

— კატის თვალების საათად გამოყენებას არამც თუ ევროპელნი, თვით ამერიკელნიც-კი ვერ მოახერხებდნენ, თუმცა განთქმულნი არიან ყოველ ნივთის გამოყენებითა და მოხმარებით. ეს ახირებული დროს მაჩვენებელი აღმოუჩენიათ ჩინელებს, რომელთაც გამოუყენებიათ კატის თვალის კაკლის თვისება: დილიდგან დაწყებული თვალის კაკალი შუადღემდე თან-და-თან იხუჭება, ქუთუთო ეფარება და შემდეგ-კი შუაღამემდე დიდდება, იჭყიტება. ამ თვისების წყალობით ჩინელები შეუცდომელად ატყობენ თურმე, თუ რა დროს რა საათია და რა ჟამი, განსაკუთრებით დაბად და სოფლად.

— ამას წინად რუსის სასამართლოს არა-ჩვეულებრივი საქმე გაურჩევია «Théâtre-Français»-ეს პატრონისა და არტისტ-ქალის შეფერის შორის აღძრულ უთანხმოების შესახებ. სასამართლოში საჩივარი შეუტანია თეატრის პატრონს-ქალს შეფერზე: შეფერმა ერთს როლში გამოსვლა იუკადრისა, ვითომ-და იმიტომ-რომ მეტად უსირცხვილო ტანისამოსი უნდა ჩაეცვაო, და ამით ხელ-შეკრულობის დარღვევა და თეატრის თავ-დანებება უნდოდაო. სასამართლოს გაუმართლებია ჰკოსტა-ი

ქალი შეფუფერი, რადგან მაგ გვარს ტანისამოსში გასვლის გამო უარი ახალგაზრდა ქალის მიერ ყოვლად შესაწყნარებელი და შესანდობელიაო.

გასართობი

კატოვიცში ამას წინად ერთს მესაათესთან მისულა პოლშელი ქალი და ხანგძლივის ვაჭრობის შემდეგ უყიდნია საათი, გამომაღვიძებელ ზარით მოწყობილი. ქალს სდომებია, რომ ეს საათი პოლშაში წაეღო ჩუმად და საბაჟოზედ ისე გაეტარებინა, რომ ბაჟი არ გადაეხდევინებინათ. როცა მესაათემ საათი მიჰყიდა, გამოიანგარიშა და ზარი ისე მომართა თურმე, რომ სწორედ მაშინ დაეწყო წკარუნი, როცა ქალი სოსნოვიცის საბაჟოში უნდა მისულიყო, მესაათეს ანგარიშით. რასაკვირველია, ქალმა ეს არ იცოდა და სთხოვა მესაათეს: მიშველე, რომ ეგ საათი როგორმე დავმალო ჩემს ტიურნიურშიო. შუადღის მატარებლით ეს ქალი წასულა სოსნოვიცში. პოლშელი ქალი საბაჟოს მოხელეებს დაუთვალიერებიათ, ვერა უპოვნიათრა და ის იყო უნდა გამოსულიყო თურმე საბაჟოდგან, რომ უეცრად ტიურნიურში ერთი ზარის წკარუნი და ალიაქოთი ასტყდა. პოლშელს ქალს შიშით კინაღამ გული წასვლია, ხოლო საბაჟოს მოხელეებსა და მგზავრებს-კი თავი ვერ შეუმაგრებიათ და ხარხარი დაუწყიათ. რაღა თქმა უნდა, რომ საათი გამომაღვიძებელ ზარით გამოუღიათ ტიურნიურიდგან და ბაჟი დაუდვიათ. ამ იაფად ნაყიდს საათში ქალისათვის ბაჟის გარდა კიდევ ერთი თუმანი ჯარიმა გადაუხდევინებიათ. ის-კი აღარავინ იცის, თუ ასე სასტიკად რად მოჰქცევია მესაათე ქალსა. იმიტომ თუ, რომ ქალი ბევრს ევაჭრებოდა და ბოლოს იაფად დაინარჩუნა საათი.

⁂

ამას წინად გაზ. „Neue Freie Presse“-ს ფურცელზედ შემდეგი სასაცილო შეცდომა გაპარულა. ერთი უცოლო კაცი, 37 წლისა, გაზეთში გამოცხადებით თავისთვის ცხოვრების თანამოგზაურს ეძებდა თურმე. განცხადების ამოწყობის დროს ასოთ-ამწყობს უყურადღებობით 37 მაგიერ 87 ამოეწყო და ამგვარად გამოდიოდა, რომ 87 წლის მოხუცი, დროსა და ჟამს გადასული, რომელსაც ცალი ფეხი სამარეში ედგა, საცოლეს ეძებდა, ახალგაზრდასა და ლამაზს ქალსა. ამ შეცდომის მიუხედავად, ,,მოხუცს‘‘, რომლის განცხადება უნდა დარჩენილიყო ,,ხმად მღაღადებლისა უდაბნოსა შინა‘‘, რამდენისამე დღის შემდეგ სხვა-და-სხვა ქალაქებიდგან ავსტრი-უნგრიისა, გერმანიისა და ინგლისისა 147 წერილი მიჰსვლია, რომ აი ჩვენა ვართ თანახმანი, ,,მოხუცს‘‘ უღელი გაგიწიოთ, თუ მართლა ,,კარგის შეძლების პატრონი‘‘ ხარო, როგორც განცხადებაშიაც ამბობდიო. ეს წერილის გამომგზავნელი ქალები წლოვანებით 17½-დგან 65 წლამდე არიან თურმე...

დეპეშა

4 თებერვალი

პეტერბურგი. როგორც ისმის, სახელმწიფო ქონებათა სამინისტრო შესდგომია იმის განხილვას, თუ რა და რა საშუალებაა საჭირო, რომ სამეურნეო და სამრეწველო დეპარტამენტმა რაც შეიძლება დიდი მონაწილეობა მიიღოს სამეურნეო გამოფენაში.

ლონდონი. ინგლისის ბანკმა დასწია დისკონტი 3%-დგან 2½%-ამდე.

პარიჟი. საფრანგეთის ბანკმა დასწია დისკონტი 3%-დგან 2½% მდე.

ბერლინი. აქ ჩამოვიდა კალუგის პოლკის დეპუტაცია, რომელმაც უნდა მიულოცოს იმპერატორს ვილჰელმს სამოც-და-ათის წლის შესრულება მას აქეთ, რაც იმპერატორი ამ პოლკის შეფად ითვლება.

ექიმი მაკენზი ამტკიცებს, რომ მემკვიდრე პრინცის ავადმყოფობა კუ არ არისო.

5 თებერვალი

პეტერბურგი. ნაბრძანებია, რომ რუსეთის 73 ზურგის ჯარ-ბატალიონებში თვითოს თითო უმცროსი შტაბ-აფიცერი მიემატოს.

უმთავრესი შტაბი აცხადებს, რომ არამც თუ პეტერბურგში, არამედ ყველგან რუსეთის იმპერიაში ებრაელნი ჯარის-კაცნი, როცა ზურგის ჯარში ჩაირიცხებიან, უსათუოდ იქ უნდა ჩაეწერონ და იცხოვრონ, საცა ჯარის-კაცობამდე უცხოვრიათო.

პროფესორი მენდელეევი სახელმწიფო ქონებათა სამინისტრომ გაჰგზავნა დონისკენ იქაურის ქვა-ნახშირის გამოსაკვლევლად.

«Бирж. Вѣд.»-ი იუწყება: ფინანსთა მინისტრმა წინადადება შეიტანა სახელმწიფო საბჭოში იმის თაობაზედ, რომ ნება დართულ იქმნას, ყოველ გვარს აღებ-მიცემასა და ხელ-შეკრულობაში იხმარებოდეს რუსეთში ოქროსა და ვერცხლის ფული, იმ შემთხვევათა გარდა, როცა ხელ-შეკრულობას სდებენ გლეხნი და მეშჩანები, ან იჯარისა და მოჯამაგირეობის თაობაზე და ან როცა მამულის სყიდვის სიგელს იმტკიცებენო. ამას გარდა ნება დართულ იქმნასო, რომ ოქროსა და ვერცხლის ფული მიიღებოდეს სახელმწიფო გარდასახადისა და სხვა გვარ ხარჯის ანგარიშშიაცა. ვისაც უნდა ქაღალდის ფულიც შეეძლება შემოიტანოს იმ ღირებულ ფასად, რა ფასიც ქაღალდის ფულს ექმნება იმ დღესაო.

«Нов. Вр.»-ში დაბეჭდილია დეპეშა იაკუნჩიკოვისა და კრესტოვნიკოვისა, რომელნიც დაესწრნენ ბამბეულობის საქმის განხილვის დროს კომისიის კრებაზე. დეპეშაში სწერია, რომ კომისიის კრებაზე არც-კი განუხილავთ, დაედოს ბაჟი თუ არა ბამბეულს საქონელსაო; რომ ფინანსთა მინისტრს ფიქრადაც არა ჰქონია მაგ საგანზე ჩამოეგდო ბაასიო.

პარიჟი. ხმა ისმის, რომ ტირარის სამინისტრო დაეთხოვება სამსახურსაო.

პეტერბურგის ბირჟა 29 იანვარი.

	მყიდველნი	გამყიდველნი	გაყიდულია
	მან. კ.	მან. კ.	მან. კ.
ხუთმანათიანი ოქრო .	— ,,	— ,,	9 32
ტამოჟნის კუპონები .	— ,,	— ,,	186¾
მანათიანი ვერცხლის ფული	— ,,	— ,,	1 35
5% პირველის შინაგანის სესხის მოგების ბილეთი	— ,,	— ,,	264¼
— მეორისა.	— ,,	— ,,	247
გირავნობ. ფურცელნი			
ტფილისის ბანკისა .	— ,,	99	— ,,
ქუთაისის ბანკისა . .	— ,,	99	— ,,
ტფილისის საურთიერთო ნდობის საზოგადოებისა.	— ,,	— ,,	— ,,

«ივერიის» ფოსტა

თავისუფალს სვანს. თქვენი წერილი—,,უშგულის აღწერა‘‘ უსათუოდ დაიბეჭდება.

სადგომი ძირულა. მღ. მ. გა—ეს. თქვენს თხოვნას რედაქცია ვერ შეასრულებს.

სოფ. ამტნის-ხევი. ვ. კ—ლს. ლექსებისა და წერილისათვის მადლობელი ვართ. ლექსები გაზეთში არ დაიბეჭდება. გადავცემთ ისეთს კაცს, რომელიც ადრე თუ გვიან გამოიყენებს.

თვით-დამსწრეს. თქვენს წერილს ვერ დავბეჭდავთ.

ტფილისი. ბ-ნს გ. კ—ს. თქვენი პოემა არ დაიბეჭდება.

საკალენდარო ცნობანი

ქრისტეს აქეთ ჩყპჱ (1888) წელიწადია. ქვეყნის შექმნიდამ **7396**.

ძველი ინდიქტიონი მე 14, ამისი ქორონიკონი—უპ=480 წელია. დაიწყო 1408 წ. და თავდება 1940 წ.

ახალი ინდიქტიონი მე-4, ამისი ქორონიკონი—მდ=44 წელიწადია. დაიწყო 1844 წ. და თავდება 2376 წ.

1888 წლის ზედ-ნადები—25.

თებერვალი 29 დღით არის

6 დღე შაბათი. წმ. ვუკოლასი, წამება იულიანისა. კათოლ. დოროტეასისა და ბალდანისა. სომხ. წმ. გრიგოლ განმანათლებელის შვილთა და შვილიშვილთა. მუს. მე-5 რიცხვი თთვისა ჯემად-ულ-ახირისა, 1305 წ. ჰიჯრისა.—ჭეშმარიტი შუა-დღე 12–14. ტფილისში მზე ამოდის 6—50, ჩადის 5—37. მთვარე 7 დღისაა.

7 დღე კვირა. ღირსისა პართენისა და ლუკასი. კათოლ. კლოტილდასი. სომხ. წამება სუკიასიანცისა. მუსულ. მე-6 რიცხვი თთვისა ჯემად-ულ-ახირისა, 1305 წ. ჰიჯრისა.—ჭეშმარიტი შუა-დღე 12—14. ტფილისში მზე ამოდის 6—49, ჩადის 5—38. მთვარე 8 დღისაა.

8 დღე ორშაბათი. წამ. დიდ. თეოდორე სტრატილატისა, ზაქარიასი. კათოლ. ლუციასი და პავლესი. სომხ. მარხვაა. მუსულ. მე-7 რიცხვი თთვისა ჯემად-ულ-ახირისა, 1305 წ. ჰიჯრისა.—ჭეშმარიტი შუა-დღე 12—13. ტფილისში მზე ამოდის 6—48, ჩადის 5—39. მთვარე 9 დღისაა.

გამოსადეგი ცნობანი

ნიხრი

1 თებერვლიდამ 1 მარტამდე

თეთრი პური რუსული 1 გირ.	5	კაპ.
პური 1-ის ხარისხისა . .	3	»
2 ›	2½	»
თონის წითელი პური 1-ის ხარის.	5	»
› » 2—	3½	›
› › 3 ›	3	›
ჯვარის მამის პურის ლავაში		›
1-ლის ხარისხისა . .	5	›
მე-2 ხარისხისა . .	4	›
მე-3 — . . .	›	›
ცხვრის ხორცი 1-ლის ხარისხისა.	9	›
სუკი	14	›
ძროხის ხორცი . . .	8	›
› 2 ›	7	›
ღორის ხორცი 1-ის ხარისხისა.	8	›
› 2 ›	7	›

მიმოსვლა ცეცხლის გემებისა

შავს ზღვაზედ.

ბათუმიდამ გადის: ხუთშაბათობით ნაშუადღევის 4 საათზედ მოკლე გზით და ნოვოროსიისკს და კერჩში შევლის.

შაბათობით საღამოს 8 საათზე შორის გზით (ყველა ნავთ-სადგურებში შევლის).

კვირაობით საღამოთი, საზღვარგარედ, სტამბოლამდე მიდის.

ბათუმში მოდის ოდესიდამ: სამშაბათობით შუა-ღამისას შორის გზით.

პარასკევობით დილით ოდესიდამ მოკლეს გზით (კერჩსა და ნოვოროსიისკში შესვლით).

შაბათობით — დილით სტამბოლიდამ.

ფოთიდამ ბათუმში მოდის: სამშაბათობით—იმის შემდეგ, როცა სოხუმიდამ მოდის გემი შორის გზით; ხუთშაბათობით—დილის 9 საათზე და მიასწრობს მოკლეს გზით მოსიარულე კავკასიისა და ყირიმის გემსა.

შაბათობით—დილის 9 საათზე და მიასწრობს შორის გზით მოსიარულე კავკასია-ყირიმისა და რუმელია-ანატოლიისკენ წამსვლელს გემებს.

ბათუმიდამ ფოთს მიდის პარასკეობითა და კვირაობით. რაკი გემი მოვა ფოთიდამ, ბათუმის სააგენტო გადასწყვეტს ხოლმე, როდის წავა უკან.

ამას გარდა ყოველ-კვირა ფოთში მოდიან ოდესიდამ და ყირიმ-კავკასიის ნავთსადგურებიდამ გადაწყვეტილს გადაზე გემები.

კვირაობით, საღამოზე, და სამშაბათს ბათუმისკენ მიდიან, რაკი თავის საქმეებს გაათავებენ. მერე ბათუმიდამ პარასკევობით მიდიან ყირიმ-კავკასიის ნავთ-სადგურებისაკენ, ხოლო თუ საჭიროა, ფოთშიაც შეივლიან ხოლმე.

რუსეთის სანავოსნო საზოგადოების სააგენტო იმყოფება სასახლის ქუჩაზე, არწრუნისეულს ქარვასლაში, № 101.

განცხადებანი

დავიწყეთ გასყიდვა
სრულიად უშიშარის
შვედურის სპიჩკებისა,
რომელიც ბევრად განკარგებულია და გაუმჯობესებული, თეთრი ალი აქვს და ფრიად იაფადაცა ღირს. ნარდად მყიდველთ ბევრი დაეთმობათ.

ქარხანა
გ. ბ. ტერ-ასატუროვისა და კº.
ვერაზე, ტფილისის ქალაქში.
(50—19)

მიმოსვლა რკინის გზისა

ბათუმსა და ტფილისს შუა

სტანციები	მოდის საათ.	მოდის წამი.	გადის საათ.	გადის წამი.	სტანციები	მოდის საათ.	მოდის წამი.	გადის საათ.	გადის წამი.
	დილით					დილით			
ტფილისი.	—	—	8	49	ბათუმი. . . .	—	—	8	4
ავჭალა. . . .	9	9	9	11	ქობულეთი .	8	54	8	57
მცხეთა. . . .	9	32	9	40	ნატანები. . . .	9	25	9	29
ქსანი	10	3	10	05	სუფსა	9	55	10	2
კასპი.	10	33	10	36	ლანჩხუთი. . .	10	35	10	39
გრაკალი . . .	10	59	11	1	ნიგოითი. . .	10	51	10	53
გორი.	11	25	11	40	საჯავახო . . .	11	14	11	16
ქარელი . . .	12	8	12	11	სამტრედია.	11	33	11	51
გომი	12	37	12	41	კოპიტნარი .	12	13	12	16
ხაშური.	1	2	1	17	რიონი	12	47	1	2
სურამი	1	29	1	32	აჯამეთი	1	15	1	18
ფონი.	2	—	2	3	ყვირილა. . .	1	58	2	10
ბეჟათუბანი.	2	56	3	16	ძირულა	2	48	2	50
მარელისი . . .	3	45	3	48	ბელაგორი .	3	17	3	20
ბელაგორი. .	4	15	4	18	მარელისი. . .	3	47	3	49
ძირულა.	4	45	4	48	ბეჟათუბანი.	4	18	4	37
ყვირილა. . .	5	26	5	40	ფონი	5	30	5	34
აჯამეთი. . . .	6	14	6	16		საღამოთი			
	საღამოთი				სურამი.	6	2	6	5
რიონი	6	29	6	44	ხაშური.	6	17	6	32
კოპიტნარი.	7	08	7	10	გომი.	6	50	6	54
სამტრედია.	7	29	7	49	ქარელი.	7	16	7	19
საჯავახო. . .	8	5	8	7	გორი	7	44	7	54
ნიგოითი . . .	8	27	8	30	გრაკალი. . . .	8	15	8	17
ლანჩხუთი . .	8	42	8	46	კასპი	8	40	8	43
სუფსა.	9	19	9	27	ქსანი	9	7	9	39
ნატანები. . . .	9	52	9	55	მცხეთა	9	28	9	34
ქობულეთი.	10	22	10	25	ავჭალა.	9	52	9	54
ბათუმი	11	13	—	—	ტფილისი .	10	15	10	46

ქუთაისიდან გადის რიონს შუადღის 12 საათსა და 7 წამზედ და საღამოზედ 5 საათსა და 50 წამზედ.

რიონიდამ ქუთაისს მიდის ნაშუადღევს 1 საათსა და 12 წამზედ და საღამოს 6 საათსა და 55 წამზედ.

ტფილისსა და სურამ შუა

	დღისით					ღამით			
ტფილისი .	—	—	3	21	სურამი. . .	—	—	2	59
ავჭალა . .	3	46	3	49	ხაშური . .	3	11	3	27
მცხეთა . .	4	19	4	25	გომი . . .	3	50	3	55
ქსანი . . .	4	49	4	52	ქარელი . .	4	24	4	31
კასპი . . .	5	24	5	29	გორი . . .	5	4	5	19
გრაკალი. .	6	—	6	3	გრაკალი . .	5	46	5	51
	საღამოთი					დილით			
გორი. . .	6	31	6	45	კასპია . . .	6	18	6	24
ქარელი. . .	7	18	7	24	ქსანი. . . .	6	55	6	59
გომი . . .	7	53	8	1	მცხეთ . . .	7	24	7	32
ხაშური . .	8	24	8	38	ავჭალა. . .	7	55	7	58
სურამი . .	8	50	—	—	ტფილისი .	8	24	—	—

Доз. цен. Тиф. 5, февраля 1888 г. Типографія А. А. Михельсона, на Гол. Проспектъ въ д. Читахова.

რედაქტორი და გამომცემელი ილია ჭავჭავაძე